საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

21/05/2026

MES 9 26 0000665658

გადაწყვეტილება

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 21 მაისის №604284 ოქმის მე-9 ნაწილთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) უმაღლესი განათლების ხარისხის ურუნველყოფის სამსახურის უფროსის 2026 წლის 20 მაისის № 596847 სამსახურებრივი ბარათის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 21 მაისის სხდომაზე გამოვლენილი გარემოებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60^1 მუხლის 1-ლი, მე-3 და მე-7 ნაწილების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ბათილად იქნეს ცნობილი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 21 მაისის №604284 ოქმის მე-9 ნაწილთან (სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა)" დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება მისი ძალაში შესვლის დღიდან.
2. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 21 მაისის №600173 სხდომის ოქმის №10 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების

მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილების კანონმდებლობის შესაბამისად გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე